ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 57

ქალაქი ქუთაისი 25 მარტი 2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაბალემისიიანი
განვითარების სტრატეგიის მოწონების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე–16 მუხლის მე–3 პუნქტის, 54–ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგია („LEDS“) დანართის შესაბამისად.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაბალემისიიანი
განვითარების სტრატეგია წინამდებარე განკარგულების
დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგია („LEDS“) შემუშავდა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის („GEF“) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ქუთაისის დაბალემისიიანი განვითარება ურბანული დაგეგმარების გზით“ ფარგლებში. ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს („MEPA“) მიერ და ხორციელდება კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის („Rec Caucasus“) მიერ.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საქართველო

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
გას. № 57
25 03 2026 წ.